სტუდენტების შრომის მოტივაციის დონე და მეთოდები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში

წულაია მილანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორანტი

განსაზღვრებები მოტივაციის შესახებ იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობს ამ ცნების ერთიანი - უნივერსალური დეფინიცია. ოქსფორდის ლექსიკონის განმარტების მიხედვით, მოტივაცია არის რაიმეს კეთების ენთუზიაზმი. ამავე განმარტების თანახმად მოტივაცია არის რაიმეს კეთების მიზეზი. ოქსფორდის ლექსიკონი არ განასხვავებს ერთმანეთისგან დასაქმებულის და სტუდენტის მოტივაციის ცნებებს. შრომის და სწავლის მოტივაცია ინდივიდის ერთი და იგივე მამოძრავებელი ძალაა.[1]

მოტივაციისთვის დამახასიათებელია ინტენსიურობა, მიზნები და ხანგრძლივობა. ინტენსიურობა ნიშნავს, რომ ინდივიდი მოტივირებულია ძლიერად ან სუსტად. როგორც წესი, ძალიან მოტივირებული ადამიანები მეტ ძალისხმევას ახმარენ მიზნების მიღწევას. შედეგად ვერ ინარჩუნებენ მოტივაციის მაღალ დონეს დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. მიმართულება გულისხმობს, რომ მოტივირებული ინდივიდის მოქმედება ყოველთვის მიმართულია განსაზღვრული მიზნების მიღწევისკენ. როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაცია მიზნების მიღწევის სურვილით არის განპირობებული. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ინდივიდმა დაკარგოს მოტივაცია განსაზღვრული მიზნების მიღწევის შემდეგ. ამასთან, ინდივიდის მოტივირებული მდგომარეობა მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში ნარჩუნდება. შეუძლებელია ინდივიდმა მოტივაცია მუდმივად შეინარჩუნოს.[2]

1. Cambridge Dictionary, retrieved from https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/motivation 10.08.2022
2. Merriam-Webster Dictionary, motivation, retrieved from https://www.merriam-webster.com/dictionary/motivation

სტუდენტების მოტივაციის მეთოდების თაობაზე ინფორმაცია მოცემულია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის დოკუმენტებში. აგრარული უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მოტივირებას ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში მათი დასაქმების შედეგად. სტუდენტების შრომის ანაზღაურება შიდა საგრანტო პროექტების შედეგად არის უზრუნველყოფილი.[3] გრუნი უზრუნველყოფს მისი კურსდამთავრებულების დასაქმებას კვლევით პროგრამებში.[4]

სტუდენტების მოტივაციის საჭიროება ხაზგასმულია გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის დოკუმენტის ტექსტშიც. უნივერსიტეტში სტუდენტების მოტივაციაზე პასუხისმგებელია სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის განყოფილება. სტრატეგიის დოკუმენტის მიხედვით, უმაღლეს სასწავლებელი უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას სპორტულ აქტივობებში. შექმნილია სტუდენტების ბაზა, რომლის მონაცემებიც მიეწოდებათ პოტენციურ დამსაქმებლებს. უნივერსიტეტი მოიძიებს ვაკანსიებს და აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ამ ვაკანსიების შესახებ. ტარდება დასაქმების ფორუმები. სტუდენტები იღებენ მონაწილეობას უნივერსიტეტის ინიციატივით მოწყობილ

3. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია 2011-2017, თბილისი, 2011, 44
4. იქვე, 59

მასტერ-კლასებში და სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც კარიერულ განვითარებასთან არის დაკავშირებული.[5]

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დაბალია სტუდენტების სწავლის ხარისხი. 2016 წელს აუდიტის სამსახურმა შეისწავლა სწავლის ხარისხი სამ უნივერსიტეტში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. აუდიტის დასკვნის თანახმად, სტუდენტების 64%-მა ბაკალავრიატის საფეხური დაასრულა საშუალოზე დაბალი აკადემიური მოსწრებით. კვლევის პერიოდში ლექცია-სემინარებზე დასწრების მაჩვენებელი შეადგენდა 15%-ს, ხოლო დაბალი აკადემიური მოსწრებით ბაკალავრიატი დაასრულა იმ სტუდენტების 40%-მა, რომლებიც ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი გრანტით ჩაირიცხნენ.[6] ერთ-ერთი ვერსიით, დაბალი აკადემიური მოსწრება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ უნივერსიტეტში დაფინანსებით ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტებს აღარ სჭირდებათ მაღალი აკადემიური მოსწრება დაფინანსების შესანარჩუნებლად. ამავე სტატიის მიხედვით, უნდა გადაიხედოს სტუდენტების დაფინანსების წესი, რომ მათ სწავლის ყველა ეტაპზე ჰქონდეთ მაღალი აკადემიური მოსწრების შენარჩუნების მოტივაცია.[7]

ერთ-ერთი მოსაზრებით, სტუდენტებს საქართველოში არ აქვთ სწავლის მოტივაცია იმ შემთხვევაში, თუ ისინი დასაქმებულები არიან პროფესიით. ამავე მოსაზრების მიხედვით, სწავლა გამოიყენება დასაქმების მიზნით. ასეთი მიდგომა შემდგომში ურთულებს სტუდენტებს კარიერული ზრდის შესაძლებლობას.[8]

სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტების დემოტივატორები სწავლის პროცესში შეიძლება იყოს ლექტორების ზედაპირული დამოკიდებულებები, სასწავლო ბაზის სიმწირე, გაცვლითი პროგრამების არარსებობა, მწირი ინფრასტრუქტურა. კვლევაში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, რომ თსუ-ს აუდიტორიების ნაწილი რემონტს საჭიროებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მაღლივ კორპუსში. სტუდენტებს არ აქვთ შექმნილი საცხოვრებელი პირობები არც თსუ-ს კუთვნილ საერთო საცხოვრებელში. ეს პრობლემა გამოიკვეთა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების გამოკითხვის დროსაც. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებს არ აინტერესებთ, რას სწავლობენ სტუდენტები, როგორ დონეზე ითვისებენ მასალას და დადიან თუ არა უნივერსიტეტში საერთოდ. მწირია უმაღლესი სასწავლებლების ინფრასტუქტურა. ბევრი აუდიტორია გაურემონტებელია, რაც სტუდენტებს სწავლის მოტივაციას უკარგავს.[9] ერთ-ერთი დემოტივატორი, რომელიც გამოვლინდა კვლევის პროცესში არის სამეცნიერო კვლევების წარმოების შესაძლებლობის სიმწირე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კვლევის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ სტუდენტებს უხდებათ ერთდროულად ათამდე საგნის გავლა ერთ სემესტრში. სწავლება თეორიულია როგორც სამედიცინო უნივერსიტეტში, ასევე ტექნიკურ უნივერსიტეტში. გამოკითხულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სამსახურის დაწყების შემდეგ მათ არ გამოადგათ ის თეორიული ცოდნა, რომელიც უნივერსიტეტში მიიღეს.[10]

სტუდენტების მოტივაციის ხარისხის შემოწმების თვალსაზრისით, საინტერესოა 2014 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლებით სტუდენტთა კმაყო-

5. გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის დებულება, თბილისი, 2019, 14

6. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის განათლების მისაღები ხარისხის უზრუნველყოფა, რადიო „თავისუფლება“, 2016

7. იქვე,

8. ქეშელაშვილი, ა., ხარჯების შემცირება, სწავლასთან მუშაობის ინტეგრაცია - როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა სტუდენტების დასაქმებაზე, 2020

9. ქეშელაშვილი, ა., ხარჯების შემცირება, სწავლასთან მუშაობის ინტეგრაცია - როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა სტუდენტების დასაქმებაზე

10. ღვინაძე, თ., სახელმწიფო უნივერსტეტებში სტუდენტებს მოტივაციას უკარგავენ-ღირს საქართველოში სწავლა?, თბილისი თიმეს, 2015

ფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის შესახებ ჩატარებული კვლევის ანგარიში.[11] კვლევაში მონაწილეობა მიიღო სამივე აკადემიური საფეხურის 3000-მა სტუდენტმა. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სასმეტ დროს უთმობენ სალექციო მასალების მომზადებას. სტუდენტებს დასაქმებაში უფრო მეტად უწყობენ ხელს კერძო უმაღლეს სასწავლებლები ვიდრე საჯაროები.[13]



სურ № 7 სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში შექმნილი სასწავლო გარემო
წყარო: ანდღულაძე, ნ.. ბრეგვაძე, თ., 2014

წავლო პროგრამები ნაკლებადაა ორიენტირებული პრაქტიკაზე და შესაბამისად, არ შეესატყვისება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.[12] განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა სასწავლო პროგრამების ხარისხში და დასაქმების ხელშეწყობაში. ორივე კომპონენტი კერძო უნივერსიტეტებში უფრო მაღალია, ვიდრე საჯაროში. სასწავლებლებში უფრო მაღალია ლექციებზე დასწრების დონე, ვიდრე საჯაროში. სტუდენტები

წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით, კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებს აქვთ ბევრად მაღალი შრომის მოტივაცია, ვიდრე სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

11. ანდღულაძე, ნ.. ბრეგვაძე, თ., უმაღლესიგანათლებით სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა, ილიას სახელმიწიფო უნივერსიტეტი, 2014
12. იქვე, 3

13. ანდღულაძე, ნ.. ბრეგვაძე, თ., უმაღლესი განათლებით სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა, ილიას სახელმიწიფო უნივერსიტეტი, 2014, 4

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდღულაძე, ნ.. & ბრეგვაძე, ო., (2014). *უმაღლესიგანათლებით სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა,* ილიას სახელმიწიფო უნივერსიტეტი
2. *გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია* (2011). 2011-2017, თბილისი
3. *გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის დებულება,* (2019). თბილისი
4. ქეშელაშვილი, ა., (2020). *ხარჯების შემცირება, სწავლასთან მუშაობის ინტეგრაცია - როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა სტუდენტების დასაქმებაზე*
5. ღვინაძე, ო., (2015). *სახელმწიფო უნივერსტეტებში სტუდენტებს მოტივაციას უკარგავენ-ღირს საქართველოში სწავლა?,* Tbilisi Times
6. Cambridge Dictionary, retrieved from https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/motivation 10.08.2022
7. Merriam-Webster Dictionary, motivation, retrieved from https://www.merriam-webster.com/dictionary/motivation

LEVEL AND METHODS OF STUDENTS' WORK MOTIVATION IN HIGHER EDUCATIONAL INSTITUTIONS OF GEORGIA

Tsulaia Milana
georgian technical university

Definitions about motivation indicate that there is no single - universal definition of this concept. According to the definition of the Oxford dictionary, motivation is the enthusiasm to do something. According to the same definition, motivation is the reason for doing something. The Oxford dictionary does not distinguish between the concepts of employee and student motivation. The motivation to work and study is the same driving force of an individual.

Motivation is characterized by intensity, goals and duration. Intensity means that the individual is motivated strongly or weakly. As a rule, highly motivated people put more effort into achieving their goals. As a result, they cannot maintain a high level of motivation over a long period of time. Direction implies that the action of a motivated individual is always directed towards the achievement of defined goals. Both intrinsic and extrinsic motivation are determined by the desire to achieve goals. Therefore, it is possible for an individual to lose motivation after achieving certain goals. However, the motivated state of an individual is maintained only for a certain period of time. It is impossible for an individual to maintain motivation all the time